ანგარიში

იანვარი-ივნისი
2014 წელი

საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ROADS DEPARTMENT OF GEORGIA

ანგარიში

იანვარი-ივნისი 2014 წელი

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის
სამინისტრო

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის მთავარ გამოწვევას ქვეყნის საგზაო სექტორის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოვება წარმოადგენს და ამ მიმართულებით მუშაობა 2014 წელს აქტიურად გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ საგზაო სექტორში 2013 წელს დაწყებული პოზიტიური დინამიკა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიმდინარე წლის პირველი ნახევარი, ხელისშემშლელი პირობების (სტიქიები, ხანგრძლივი უამინდობა) მიუხედავად, წარმატებით დასრულდა.

2014 წლის პირველ 6 თვეში მთელი წლის ბიუჯეტის 42 პროცენტი, ხოლო 6 თვის გეგმიური ბიუჯეტის 94 პროცენტია ათვისებული. ეს მონაცემები გასული წლების მანძილზე ყველაზე მაღალი აქტივობის მაჩვენებელია.

აქტიურად მიმდინარეობს სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტებზე მუშაობა. მიმდინარე წლის ბოლოსთვის 250 კმ-მდე გზისა და 30 ხიდის რეაბილიტაციის დასრულებაა დაგეგმილი. ასევე, წელს არის გათვალისწინებული 32,2 კმ. ახალი ჩქაროსნული საგზაო მონაკვეთის მშენებლობის დასრულება. ამ ნაწილშიც, 2014 წლის სტატისტიკა გასულ წლებთან შედარებით გამორჩეული იქნება.

დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია საგზაო აქტივების მართვის სისტემის გაუმჯობესება, რაც საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებთან ერთად, გზების თანამედროვე სტანდარტებით ექსპლოატაციის ღონისძიებებსაც მოიცავს. ამ მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯია პილოტური პროექტი (PBC - სამუშაოების შედეგზე ორიენტირებული კონტრაქტი), რომელიც წელს დაიწყო და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება. აღნიშნული პროექტი გზების მოვლა-შენახვის 5 წლიანი კონტრაქტის ფარგლებში კომპლექსურ მომსახურებას ითვალისწინებს და გზების ექსპლოატაციის თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი 2014 წლის გამოწვევების წარმატებით დასაძლევად კომპლექსურად მუშაობს როგორც საგზაო, ასევე, ინსტიტუციურ, სოციალურ და გარემოს დაცვის პროექტებზე.

აღნიშნული აქტივობის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის რაციონალური და მომხმარებელზე ორიენტირებული მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რაც ქვეყნის ევროპულ სტანდარტებთან ეტაპობრივი ინტეგრაციისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

დავით შავლიაშვილი

საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტის თავმჯდომარე

230,8 მლნ. ლარი	2014 წლის პირველი 6 თვის გეგმიური ბიუჯეტი
217,9 მლნ. ლარი	2014 წლის 6 თვეში ათვისებული ბიუჯეტი
94% -ით	ბიუჯეტის ათვისება 6 თვეში
514,2 მლნ. ლარი	წლის მთლიანი ბიუჯეტი

2014 წლის 6 თვეში ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება-განვითარების სამუშაოებისათვის დაგეგმილი იყო 230,8 მლნ. ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულება. აღნიშნულ პერიოდში შემაფერხებელი ფაქტორების (სტიქიური მოვლენები, ხანგრძლივი უამინდობა) მიუხედავად, სხვადასხვა პროექტების ფარგლებში 217,9 მლნ. ლარის - დაგეგმილი ბიუჯეტის 94 %-ის ათვისება გახდა შესაძლებელი.

ბიუჯეტის ათვისება | (მლნ. ლარი)

2014 წლის პირველ 6 თვეში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 63,4 მილიონი ლარით, ხოლო 2012 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 104,1 მლნ. ლარით მეტი ღირებულების საგზაო სამუშაოები განხორციელდა.



ბიუჯეტის ათვისების მზარდი დინამიკა სამუშაოების თითქმის ყველა სახეობაზე ვრცელდება.



	მშენებლობა მლნ. ლარი	რეაბილიტაცია-პერიოდული შეკეთება მლნ. ლარი	მიმდინარე შეკეთება (მოვლა-შენახვა) მლნ. ლარი	სტიქია მლნ. ლარი	ნაპირდაცვა მლნ. ლარი	სხვა სამუშაოები და ხარჯები მლნ. ლარი
2012 I-II კვ.	67.8	25.1	18.5	2.9	1.3	4.3
2013 I-II კვ.	86.4	39.5	17.8	2.3	2.0	6.4
2014 I-II კვ.	121.3	62.7	20.3	3.9	1.5	8.3

2013 2014

ბოლო სამი წლის მონაცემების მიხედვით, 2013-2014 წლებში ბიუჯეტის ათვისების დინამიკა მნიშვნელოვნად გაზრდილია

ბიუჯეტის ათვისების დინამიკა | (მლნ. ლარი)



- დამტკიცებული
- დაზუსტებული
- 6 თვის შესრულება
- % 6 თვის შესრულება

2014 წლის პირველ 6 თვეში, გასული წლის იგივე პერიოდთან შედარებით, ბიუჯეტიდან 63,4 მლნ. ლარით მეტი თანხა იქნა ათვისებული. ხოლო აღნიშნული შესრულება 2012 წლის მონაცემებს 104,1 მლნ. ლარით აღემატება.

2013 წელი

პირველ 6 თვეში დეპარტამენტის აქტივობებისთვის დაგეგმილი ბიუჯეტი კორექტირების გარეშე 30,8%-ით შესრულდა

2014 წელი

პირველ 6 თვეში მთელი წლის ბიუჯეტის 42%, ხოლო 6 თვის გეგმიური ბიუჯეტის 94%-ია ათვისებული

სამშენებლო აქტივობა ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე | (კმ.)

საგზაო სექტორში 2014 წლის პრიორიტეტული მიმართულება ჩქაროსნული გზატკეცილის მშენებლობის პროექტებია.
2014 წლის 6 თვეში სამშენებლო აქტივობა მიმდინარეობდა სულ 131 კმ. საგზაო მონაკვეთზე ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში. წლის ბოლომდე სამშენებლო აქტივობა დაგეგმილია 140 კმ-მდე გზაზე.



ჩქაროსნული გზის მშენებლობა

მოძრაობის გახსნის სტატისტიკა | (კმ.)

2014 წელს ჩქაროსნული გზატკეცილის სხვადასხვა მონაკვეთზე სულ 32,2 კმ. ახალი გზის გახსნა იგეგმება, როდესაც 2013 წელს 15.4 კმ-იანი, ხოლო 2012 წელს მხოლოდ 1,5 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის დასრულება გახდა შესაძლებელი.



ბიუჯეტის ათვისება | იანვარი-ივნისი 2014 წელი

ჩქაროსნული გზატკეცილის მშენებარე ობიექტებზე, სეზონური უხვნალექიანობისა და შემდგომ, ხანგრძლივი უამინდობის მიუხედავად, სამუშაოები არ შეჩერებულა. აქტიურად გრძელდებოდა ის აქტივობები, რის საშუალებასაც გარემო პირობები იძლეოდა.

ექვსი თვის მონაცემებით, ჩქაროსნული გზატკეცილის სამშენებლო პროექტების მთლიანი ბიუჯეტი 40%-ით არის ათვისებული.



მშენებლობის ბიუჯეტის ათვისების დინამიკა წლების მიხედვით | (მლნ. ლარი)

2014 წლის 6 თვეში გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობის პროექტების ფარგლებში 121,3 მლნ. ლარის ღირებულების სამუშაოები განხორციელდა, რაც გასული წლის ამავე პერიოდის მონაცემებს 35,7 მლნ. ლარით , ხოლო 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 59,5 მლნ. ლარით აღემატება.



2014 წელს

2014 წელს ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე სამშენებლო აქტივობა ერთდროულად 8 მონაკვეთზე, ჯამში 140-მდე კილომეტრ გზაზე განხორციელდება

I-II კვარტალში ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე სამშენებლო აქტივობის განხორციელება 131 კმ-იან მონაკვეთზე გახდა შესაძლებელი

2014 წელს

ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა 2014 წელს დასრულდება

- **სამშენებლო გზის სიგრძე - 17.3 კმ.**
- **აშენდება - 5 ხიდი და 5 გზაგამტარი**
- **პროექტის ღირებულება - 77.9 მილიონ ლარს და 20.6 მილიონ ევრო (ლოტი I)**
- **დონორი - იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA)**

ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის გზის 14 კმ. მონაკვეთზე მშენებლობა 2014 წელს დასრულდება

- სამშენებლო გზის სიგრძე - 25,6 კმ.
- აშენდება 3 ხიდი და 5 გზაგამტარი
- პროექტის ღირებულება - 69.6 მილიონი ლარი და 20.9 მილიონი ევრო (ლოტი II)
- დონორი - იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA)

რეაბილიტაციული გზის მშენებარე ობიექტები

გრძელდება ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობა

- მშენებლობა 2015 წელს დასრულდება
- სამშენებლო გზის სიგრძე - 15.2 კმ.
- პროექტის ღირებულება - 71,1 მილიონი ლარი და 22.1 მილიონი ევრო (ლოტი III)
- დონორი - იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA)

მიმდინარეობს რუისი-აგარის მონაკვეთის მშენებლობა

- სამშენებლო გზის სიგრძე - 19.5 კმ.
- აშენდება 4 ხიდი, 2 ხიდი-ესტაკადა, 5 გზაგამტარი
- პროექტის ღირებულება – 70,8 მილიონი ლარი
- დონორი - მსოფლიო ბანკი (WB)

აქტიურად მიმდინარეობს ქობულეთის შემოვლითი - ჩაქვის გზის სამშენებლო სამუშაოები

- მშენებლობა 2016 წელს დასრულდება
- სამშენებლო გზის სიგრძე - 19,2 კმ.
- მთლიანობაში აშენდება 16 ხიდი და 2 გვირაბი
- პროექტის ღირებულება - 209,8 მილიონი ლარი
- დონორი - აზიის განვითარების ბანკი (ADB)

დაიწყო სამტრედია-გრიგოლეთის გზის მშენებლობა

- მშენებლობა 2016 წელს დასრულდება
- სამშენებლო გზის სიგრძე (ლოტი I) 11.5 კმ.
- აშენდება 26 მიწისქვეშა გასასვლელი და 8 სახიდე გადასასვლელი, მათ შორის 3 ხიდი და 1 რკინიგზაზე გადასასვლელი ხიდი-ესტაკადა, მოეწყობა წყალგამტარი მილი
- პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 153 498 019.53 ლარს

ხელშეკრულება გაფორმდა აგარა - ზემო ოსიაურის მონაკვეთის მშენებლობის სამუშაოებზე

- სამშენებლო გზის სიგრძე - 12 კმ.
- აშენდება 2 სატრანსპორტო კვანძი, 4 სახიდე გადასასვლელი, 20 წყალგამტარი მილი და 3 სამეურნეო გასასვლელი
- პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 105.019.564 ლარს
- დონორი - მსოფლიო ბანკი (WB)

2014 წლის 29 მაისს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და ქუვეითურ კომპანია "Copri Construction Enterprises W.L.L"–ს შორის აგარა-ზემო ოსიაურის 12–კმ–იანი ჩქაროსნული გზის მშენებლობის ხელშეკრულებას ხელი მოეწერა.

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს მომდევნო სამშენებლო მონაკვეთების დეტალური პროექტირებისა და სატენდერო პროცედურების მომზადების სამუშაოები. ასევე, აქტიურად გრძელდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მოლაპარაკებები ახალი მონაკვეთების მშენებლობის დაფინანსებასთან დაკავშირებით, რათა აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის ყველა მონაკვეთზე მშენებლობის დაწყება მაქსიმალურად ოპტიმალურ ვადებში გახდეს შესაძლებელი.

გზების რეაბილიტაციის პროექტების ბიუჯეტი | (მლნ.ლარი)

ბოლო სამი წლის სტატისტიკური ანალიზის მიხედვით, 2014 წლის 6 თვეში 2013 წელთან შედარებით 16,7 მლნ. ლარით მეტი, ხოლო 2012 წელთან შედარებით 31,2 მლნ. ლარით მეტი ღირებულების სამუშაოები შესრულდა.



გზების რეაბილიტაციის პროექტების მოცულობა | (კმ.)



2014 წლის I-II კვარტალში შესრულებული სამუშაოების მოცულობა 30,2 კმ-ით აღემატება გასული წლის 6 თვეში შესრულებულ მოცულობას, ხოლო 54.2 კმ-ით მეტია 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

გზების მოვლა-შენახვა

საავტომობილო გზების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროექტების განხორციელებასთან ერთად, აქტუალური ხდება მათი შემდგომი მოვლა-შენახვის ღონისძიებები. რეაბილიტირებული თუ ახალაშენებული გზების სრულფასოვანი ექსპლოატაცია და მათი სასიცოცხლო პერიოდის ხანგრძლივობა მიმდინარე შეკეთების სამუშაოებზეა დამოკიდებული.

სიახლე - წელს დაიწყო პილოტური პროექტის (PBC-სამუშაოების შედეგზე ორიენტირებული კონტრაქტი) განხორციელება, რომელიც გზების მოვლა-შენახვის 5 წლიანი კონტრაქტის ფარგლებში კომპლექსურ მომსახურებას ითვალისწინებს. აღნიშნული მოდელით გზების მოვლა-შენახვის სამუშაოების შესყიდვაზე სატენდერო პროცედურები მიმდინარეობს.

« განვითარებულ ქვეყნებში ჩატარებული კვლევების მიხედვით PBC მოდელით გზების მოვლა-შენახვა 10-15%-ით ეკონომიურია

გზების მოვლა-შენახვა

პილოტური პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსების ფარგლებში პირველად კახეთში განხორციელდება. დედოფლისწყაროსა და წნორის მუნიციპალიტეტებში 220 კმ-იან სხვადასხვა საგზაო მონაკვეთს ტენდერში გამარჯვებული ერთი კომპანია მოემსახურება. კონტრაქტის საფუძველზე კომპანია აიღებს ვალდებულებას განახორციელოს გზის მთელი მოცულობის მოვლა-შეკეთების, მათ შორის 70 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაციისა და მისი შემდგომი მოვლა-შენახვის სამუშაოები.

აღნიშნული მოდელი ზრდის კონტრაქტორის მოტივაციას სარეაბილიტაციო სამუშაოები ხარისხიანად აწარმოოს, რათა შემდგომ გზის ექსპლოატაცია ნაკლები ხარჯებით განახორციელოს.

გრძელვადიანი კონტრაქტების პირობებში ადგილობრივ კომპანიებს საშუალება ექნებათ იზრუნონ ტექნოლოგიურ განვითარებაზე, რაც საბოლოოდ სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

შესყიდვების სტატისტიკა I-II კვარტლის მონაცემებით

2014 წლის პირველ 6 თვეში ტენდერების გზით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებს 15 ერთეულით, ხოლო 2012 წლის ამავე პერიოდში განხორციელებულ ტენდერებს 36 ერთეულით აღემატება. ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა საერთაშორისო ტენდერების რაოდენობის მხრივაც.



გამარტივებული შესყიდვები I-II კვარტლის მონაცემებით

მიმდინარე წლის 6 თვეში 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 26 ერთეულით ნაკლები გამარტივებული შესყიდვა განხორციელდა. 2013 წელთან შედარებით კი ამავე კატეგორიის მაჩვენებელი 2 ერთეულით მეტია. წელს გამარტივებული შესყიდვები მხოლოდ დარიალის ხეობაში, რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთსა და ხულოს რაიონში სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების გამო გახდა აუცილებელი.





დეპარტამენტში მკაცრად არის განსაზღვრული გამარტივებული შესყიდვების მეთოდის გამოყენების ფაქტორები. ამ ფორმით საგზაო სამუშაოების შესყიდვის ფაქტები მხოლოდ ფორსმაჟორული მდგომარეობის დროს არის ნებადართული.

სიახლე - 2014 წელს განხორციელდა საპროექტო სამუშაოების შესყიდვა კონკურსის წესით. აღნიშნული მეთოდით მომსახურების შესყიდვის დროს, ელექტრონული ტენდერებისაგან განსხვავებით, შეფასება ხდება საკონსულტაციო კომპანიის კვალიფიკაციის და არა წარმოდგენილი ფასის გათვალისწინებით.
კონკურსის წესით შესყიდვის მეთოდი ე.წ. "ორეტაპიანი ტენდერი" მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში აპრობირებულია და პროექტების შემოქმედებით ნაწილში (დიზაინი) ოპტიმალური შედეგის მიღებაზეა გათვლილი.

განხორციელებული შესყიდვები სახეობების მიხედვით



2014 წელს სტიქიური მოვლენების გამო საავტომობილო გზების დეპარტამენტი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოები

17 მაისს სტეფანწმინდა-ლარსის საგზაო მონაკვეთზე მყინვარწვერიდან 1 მლნ. m^3 მოცულობის ყინულის მასა და მთის ნაშალი ჩამოწვა, რასაც შედეგად მდ. თერგის დაგუბება და გზის დატბორვა მოჰყვა. სამწუხაროდ, სტიქიას თან ახლდა ადამიანების მსხვერპლი. ხეობაში ჩამოწოლილმა მასამ სიმაღლეში 20-30 მეტრს მიაღწია, რაც სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებს ართულებდა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და "სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის" ხელმძღვანელობა ერთი თვის მანძილზე ურთულეს პირობებში ახორციელებდა მდინარის პირვანდელ კალაპოტში დაბრუნების და გზის აღდგენის სამუშაოების მეთვალყურეობას. ადგილზე ინტენსიურად მუშაობდა 70 ერთეული საგზაო ტექნიკა.

სტიქიის შედეგად დაზიანებულ მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის აღდგენა 14 ივნისს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის" წარმომადგენლების 24 საათიანი მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საავტომობილო გზების
დეპარტამენტი

WWW.GEOROAD.GE